სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლების ცნობიერება კვების განვითარების დარღვევების შესახებ

ირინა ჭითანავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ელენე წკრიალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა ჭითანავა

თარიღი: 20.06.24

აბსტრაქტი

კვება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვობის ასაკში, როცა ორგანიზმის განვითარება და ზრდა მიმდინარეობს.

კვების განვითარება გულისხმობს ჯანსაღი და ბალანსირებული კვებითი ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია ბავშვის ორგანიზმის სწორი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის.

კვების დარღვევები მოიცავს სხვადასხვა ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე. ეს დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს არასწორმა კვებითმა ჩვევებმა, სტრესმა, მენტალურმა ჯანმრთელობამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა.

საქართველოში არსებულ განვითარებისა და სარეაბილიტაციო სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციებში ბავშვებში კვებითი სირთულეების გამო მიმართვიანობის გაზრდა მოწმობს, რომ აღნიშნული პრობლება ჩვენს ქვეყანაშიც აქტუალურია და მას დროული იდენტიფიცირება და ინტერვენცია სჭირდება.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლების ცნობიერებას კვების განვითარების დარღვევების შესახებ.

ნაშრომში, ასევე, განხილულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მნიშვნელობა, ტრენინგებისა და სემინარების გავლენა და ყურადღება გამახვილებულია

მასწავლებლების განათლების დონის ამაღლების აუცილებლობაზე კვების დარღვევების ადრეული იდენტიფიკაციის, რეფერალისა და მართვისთვის.

კვლევაში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებში მომუშავე მასწავლებლები. (შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.)

კვლევა მიზნად ისახავს, კვებითი დარღვევების დარგში, მასწავლებლების ცოდნის დონის შემოწმებას და მათი დამოკიდებულების შეფასებას საკითხის მიმართ.მასწავლებლები, რომლებიც ემსახურებიან სკოლამდელ დაწესებულებებს, თუ გააცნობიერებენ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი კვების შესახებ ცოდნის გაღრმავება, მათ შეუძლიათ მეტი წვლილი შეიტანონ ბავშვების ცნობიერებისა და ქცევის ჩამოყალიბებაში ჯანსაღი კვების თვალსაზრისით.

ნაშრომი განიხილავს კვების დარღვევების ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ასპექტებს, ბავშვებში კვების დარღვევების შესახებ გლობალურ გამოწვევებს და მასწავლებელთა მომზადების გავლენას კვების პრაქტიკაზე.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მასწავლებლებისთვის გამოკითხვის ჩატარებას. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს გადაეგზავნათ კითხვარი google forms- ის საშუალებით, რათა გამოველნილიყო მათი ინფორმირებულობის ხარისხი და გამოწვევები, რომლებსაც ისინი კვების დარღვევების მართვისას აწყდებიან .

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს მასწავლებლების მუდმივი განათლებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებას. მუდმივი განათლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და კვებითი ქცევების ჩამოყალიბებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ბავშვის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს შორის კვების განვითარებასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებში კომპეტენციის ნაკლებობა. მათ უმრავლესობას სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება

კვებითი განვითარების დარღვევების შესახებ. შესაბამისი სტრუქტურების მიერ კვლევის შედეგების გათვალისწინება და განვითარების დარღვევებზე ბაღის აღმზრდელებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

საკვანძო სიტყვები: სკოლამდელი განათლება, მასწავლებლების ცნობიერება, პროფესიული განვითარება.

Abstract

Feeding is one of the main prerequisites for human health and well-being. It is especially important during childhood, when the body is developing and growing.

Feeding development involves establishing healthy and balanced eating habits, which are essential for the proper functioning and development of a child's body. Feeding disorders include various physiological and psychological problems that affect a child's growth and development. These disorders can be caused by improper eating habits, stress, mental health issues, and many other factors.

The increase in referrals to development and rehabilitation service provider organizations in Georgia for children with eating difficulties indicates that this issue is also relevant in our country and requires timely identification and intervention.

This master's thesis examines the awareness of teachers working in preschool institutions about the development of feeding disorders. The paper also discusses the importance of professional development for teachers, the impact of training and seminars, and emphasizes the need to raise teachers' education levels for the early identification, referral, and management of feeding disorders.

Teachers working in public and private preschool institutions in Tbilisi and various regions of Georgia participated in the research (selection was made on a random selection basis). The study aims to check the level of knowledge of teachers in the field of feeding disorders and to assess their attitudes towards the issue. If teachers serving preschool institutions understand the importance of deepening their knowledge about healthy eating, they can contribute more to the formation of children's awareness and behavior in terms of healthy eating.

The paper examines the psychological and physiological aspects of feeding disorders, global challenges related to feeding disorders in children, and the impact of teacher training on feeding practices.

The research methodology includes conducting a survey for teachers. A questionnaire was sent to preschool institutions via Google Forms to determine their level of awareness and the challenges they face in managing feeding disorders.

The research results emphasize the need for continuous education and professional development of teachers. Continuous education significantly contributes to improving children's health and forming feeding behaviors, which, in the long term, ensures the child's health and well-being.

The research revealed a lack of competence among preschool educators in certain issues related to nutrition development. The majority of them expressed a desire to receive additional information about feeding disorders. Considering the research results and providing additional information to kindergarten educators about developmental disorders by the relevant structures would be a step forward in solving the existing problem.

Keywords: preschool education, teacher awareness, professional development.

მადლობა

მადლობა ქ. თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო და კერძო საბავშვო ბაღების აღმზრდელებს გაწეული დახმარებისათვის, კვლევის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის და კვლევაში მომაწილეობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ელენე წკრიალაშვილს გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.